ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულების") 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების 16.23 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

16.23 კლიენტი გამოხატავს თანხმობას და უფლებას აძლევს სს „თიბისი ბანკს"(შემდგომში „ბანკი"), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს წინამდებარე დოკუმენტში და ბანკში დაცული კლიენტის ინფორმაცია, ასევე, კლიენტის შესახებ საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ებ)ში (შემდგომში „ბიურო") დაცული ინფორმაცია გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის. კლიენტი აცნობიერებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს, რომ კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული თანხმობა არის ერთჯერადი და მოქმედია დათანხმებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, კლიენტი ადასტურებს, რომ ბანკი შეაგროვებს/დაამუშავებს კლიენტის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება ბიუროში ჩართული სესხის გამცემი ორგანიზაცი(ებ)ისთვის და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირ(ებ)ისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<u>ხელშეკრულებას დამეატოს 7.12 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

7.12 მხარეები თანხმდებიან, რომ სხვადასხვა დისტანციური საბანკო მომსახურების არხების/ელექტრონული საკომუნიკაციო არხების საშუალებებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი, ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, www.tbccredit.ge, სატელეფონო სერვისცენტრი და სხვ.) კლიენტის მიერ გაცხადებულ თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით (მათ შორის სსგს-ს, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, შემოსავლების სამსახურის და სხვა ბაზებში დაცული პირის პერსონალური მონაცემების ბანკის მიერ მიღებასთან და დამუშავებასთან დაკავშირებული თანხმობა) გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.